წელიწადი მესამე　ფასი 10 კაპ.　ხუთშაბათი, 1917 წ. თიბათვის 8 (20)

საქართველო

№ 122　ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა　№ 122

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

[illegible]

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.

სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.

მაისის ოციდან „საქართველოს" თითო ნომერი

ღირს 10 კაპ.

ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ეღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.

ხალი კლუბის საზაფხულო შენობა

შაბათს, 10 ივნისს

სოციალ-დემოკრატიულ გაზ. „ლიონის"

ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება

დიდი საღამო

წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით

მონაწილეობას მიიღებენ ქართული დრამის მსახიობნი **ვასო და ტასო აბაშიძენი** და სხვ.

სიმღერის პროფესორის **რიადნოვის სტუდია**

საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან:

I. განყ. ქართული წარმოდგენა

„რაც არ მერგება, არ შემერგება"

ვოდ. 1 მოქ.

II. განყოფილება

ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება სხვა და სხვა საწუსიკო №№-ბი სტუდიის მოწაფეთაგან.

III. განყოფილება

აღმოსავლეთური ცეკვა

საღამოსათვის ბაღში მოწყობილი იქნება კიოსკები, პტი-შვო, კონფეტი, ფოსტა და სხვა გასართობები. საღამოსთვის მოწვეულია კლუბის ორკესტრი და

დუდუკი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება „ალიონის" რედაქციაში.

1—724—1　**გამგე ქალბატონი ანნა ქავთარაძისა**

სახალხო სახლი

პარასკევს, თიბათვის 9-ს 1917 წ.

სცენის მოყვარეთა მიერ მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

ტრაღედია 7 სურათად შილერისა.

ბილეთების ფასი 1—49-დან 15 კაპ. ◆ დასაწყისი საღ. 8½ საათზე.

გამგე მეტრეველი.

3—723—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ წევრებათ ჩაწერა ხსენებულს პარტიაში შეუძლიანთ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თაწმინდის ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში—ვანო ავალიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.

6—669—3

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისად აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

- **ს. გორგაძის**—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
- **ე. თაყაიშვილის**—„ხელთნაწერის მიმოხილვა".
- **ნ. დუბროვსკის**—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
- **ი. მეუნარგიას**—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
- **გრ. რობაქიძის**—„ნიკო ბარათაშვილი".
- **დ. უზნაძის**—„პოეტის სული".

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—11)

თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში, დანიშნულია

წლიური საგუბერნიო კრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა.

კრების განსახილველია:

1) 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და 2) 1917 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა (იგულისხმება, სხვათა შორის, დახმარების დანიშვნა სხვა და სხვა საზოგადო საგანმანათლებლო და საკულტურო დაწესებულებათათვის, როგორც, მაგალითად, ქართულ გიმნაზიასა და სხვა სასწავლებელთათვის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების, საისტორიო და საეთ. საზ. ქართულ სადრამო საზ. და სხვათათვის).

2—704—4

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ტსაქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის თავისუფლება"-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

იგ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და **ჯარისკაც** მწერალთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არეშევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

(10—638—12)

მოკლე ხანში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

კრებულში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

მისამართი: თბილისი, რედაქცია „საქართველო"—ე. ბიბეჩკორს.

რედაქტორები: **სანდრო შანშიაშვილი და გ. ლეონიძე.**

4—688—7　**გამომცემელი ე. ი. ბიბეჩკორი.**

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეხის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და [illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

[illegible]

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი ა

მ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. ი. ზარნაძე

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის** გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (ტ. 909—)

თბილისი, თიბათვის 8.

საქართველოს ავტონომიის საკითხი

საქართველოს სამივე მთავარმა პოლიტიკურმა მიმართულებამ, სოციალ-დემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტიულმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა ფაქტიურად მიიღო კიდეც ეროვნული თვითმართველობის პრინციპი, განსხვავება მათ შორის მხოლოდ თვითმართველობის კომპეტენციისა და საზღვრების საკითხშია. მეტის მეტად შეკვეცილ თვითმართველობას სოციალ-დემოკრატები ითხოვენ, მეტის მეტად ვიწრო საზღვრებს სოციალისტ-ფედერალისტები: ეროვნული დემოკრატია ორივე სოციალისტურ პარტიაზე შორს მიდის, როგორც საქართველოს ავტონომიის უფლების, ისე ტერიტორიული ფარგლების საკითხში. მაგრამ ეს საკითხები უფრო ძალთა განწყობილების საკითხებია, ვიდრე პრინციპებისა და ადვილად შეიძლება ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება მოხდეს, თუ ძალთა განწყობილება ჩვენი სამშობლოს სასარგებლოდ შეიცვალა.

რა გზით უნდა მოხდეს საქართველოს ავტონომიისა თუ თვითმართველობის განხორციელება? ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის არც ამ საკითხის გადაჭრაში არსებობს გარდაუვალი წინააღმდეგობა. სამივე მთავარი მიმართულება აღიარებს, თუ დღეს საქართველოს არ ძალუძს დამოუკიდებლად თავისი ეროვნული უფლების განხორციელება, რომ ქართველი ერი რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში უნდა წარსდგეს თავისი სურვილებითა და მოთხოვნილებებით. საკითხი ეხლა იმაშია, დააკმაყოფილებს თუ არა დამფუძნებელი კრება ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალებს?

ხვალინდელი დღე გამოურკვეველია და ძნელია წინასწარმეტყველობა. მაგრამ დღევანდელი ფაქტებისა და მოვლენების მიხედვით შეიძლება დაახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ, რომ როგორი ძალა-განწყობილება დამყარდება რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში. თითქმის უეჭველია, თუ ჩაგრულ ერთა წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა პოლიტიკური დეცენტრალიზაციის იდეას მიემხრობა ამა თუ იმ სახით, ეს დიდი ძალა იქნება რასაკვირველია. მაგრამ რომ მთელმა ველიკორუსულმა ტომმა ცენტრალისტური წესწყობილების დამყარება მოითხოვა, ავტონომიის იდეა დამარცხდება აუცილებლივ მიტომ, რომ რუსეთის პატარა ერებს შორის ჯერ კიდევ მჭიდრო პოლიტიკური კავშირი არ არსებობს, გაბატონებული ერი უფრო გაერთიანებულია და რიცხვითაც ველიკორუსობა სჭარბობს დანარჩენ ერებს; განსაკუთრებით პოლონეთის გამოყოფის შემდეგ.

მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსის ხალხი სავსებით არ დაემორჩილება იმპერიალისტურ და ცენტრალისტურ მიდრეკილებას. ამის ნიშნები სჩანს კიდეც. ზოგიერთი სოციალისტური ფრაქციების კონფერენციამ აშკარად აღიარა ავტონომიის პრინციპი. ეს პრინციპი აღიარა რუსეთის გლეხთა საბჭოების ყრილობამაც. თუ ეს აღსარება გულწრფელია, თუ ამ ადამიანებმა დამფუძნებელ კრებაზე უკან არ დაიხიეს, შესაძლებელია, რომ ავტონომიის, იდეამ პრინციპიული გამარჯვების შემდეგ პრაქტიკულადაც გაიმარჯვოს...

სესხი და რუსეთის ბურჟუაზია

დროებითი მთავრობამ პირველ დღეებშივე გამოაქვეყნა სამი მილიარდი „თავისუფლების სესხი". ამ სესხზე ამერიკელებმა მაშინვე მოაწერეს ხელი 500 მილიონზე. ეს უთუოდ რუსეთის თავისუფლების მისასალმებლად და გასამხნევებლად, თორემ ამერიკელებს შეეძლოთ ერთ კვირაში მოეგროვებიათ უფრო მეტიც. მაგრამ, რუსეთს ამანაც ვერ უშველა. სააგენტო დეპეშებმა გვაუწყეს, რომ მაისის 31-ს სესხზე ხელის მოწერამ 1.200,000 მ. დაფარა და ეს ორი თვის განმავლობაში.

რითი აიხსნება ამ გვარი მოვლენა? ნუთუ რუსეთში ამოდენა ფულიც არ არის?

ფული არ არის რუსეთშიო, არ ითქმის. თუ ომამდი ცოტა იყო რუსეთში ფული, ომმა დიდძალი ფული დააბნია სახელმწიფოში. პირველ ხანებში ომზე თვეში იხარჯებოდა 800 მილიონი და შემდეგ კი ათასიც. ამ ანგარიშით ომზე დახარჯულია 30 მილიარდზე მეტი. ამ ფულში ძველმა მთავრობამ თავის სახელმწიფოში დიდი ჰაპანწყვეტით აიღო სესხათ ექვსი მილიარდი, ზოგი უცხოეთში ანდეს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის თავდებობით. ყოველ შემთხვევაში ვიცით, რომ სახელმწიფო ბანკმა გამოუშვა 13 მილიარდზე მეტი ქაღალდის ფული და ეს ამოდენა აუარებელი ფული ხალხში ტრიალებს. ნუ თუ ამ თანხის პატრონ ხალხს არ შეეძლო თავისი მთავრობისათვის ესესხებია სამი მილიარდი?

ძველ მთავრობას არ ენდობოდენ და ვითომ იმიტომ არ აძლევდენ სესხად ფულს. ეხლა? ახალ მთავრობისაც არ ენდობიან? მე გამიგონია, ვითომ და ცვალებადობის ეშინიანთ,—ვინიცობაა დროებითი მთავრობა გამოიცვალოს, და დამყარდეს ისეთი მთავრობა, რომ ძველი დროებითი მთავრობის განკარგულება არ დაადასტუროსო. ესეც რომ მოხდეს, მაშინაც შეუძლებელია სესხის უარისყოფა, იმიტომ, რომ ამ სესხში მონაწილეობენ ამერიკელები, ე. ი. დაინტერესებულია უცხო დიდი სახელმწიფო, და მეორეც ისა, რომ ეს სესხი არა თუ სამი მილიარდი, ათიც რომ ყოფილიყო მოხმარდებოდა ძველი დანახარჯის გასწორებას. ახალი ხარჯისათვის კი ხაზინას საშუალება ექნებოდა ისევ ქაღალდის ფულისათვის მიემართა.

მაშ რაღაა მიზეზი? უნდა ვიგულისხმოთ, რომ უნგარიშობა და გაუკუღრობა.

ყველამ იცის, რომ ინგლისში და საფრანგეთში ფული ბევრია, ხალხი მდიდარია, და მთავრობა იქ ომის საზარჯოდ გაჭირვებას არ განიცდის, მაგრამ გერმანია და ავსტრო-უნგრეთში კი თავისუფალი ფული ბევრი არ იყო. ვიცით, რომ პრუსიამ საფრანგეთიდან ხუთი მილიარდი ფრანკი ოქროთი აიღო კონტრიბუცია 1871 წ. ომის შემდეგ, მაგრამ ეს ფული კარგა ხანია დაიხარჯა. ფრანგებმა დაიტრაბახეს, რომ პრუსიელებს მაგ ფულს „ლენტებში და ბანტებში" გამოვართმევთო და გამოართვეს კიდეც. ხოლო ხალხის მიერ ხელმომჭირნეობით მოგროვილი ფული წარმოებაში მიდიოდა. მრეწველობა და ვაჭრობა კი ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა და ვრცელდებოდა, რომ კაპიტალის ზრდას უსწრობდა. ამიტომ გერმანეთში უფრო ფულის სიძვირე იყო, მაგრამ გერმანეთს ამ ომის დროს ფულის გასაჭირი არ გამოუცდია. ომის გამოცხადებისთანავე გერმანეთის სახელმწიფო ბანკს მიეცა უფლება გამოეცა ქაღალდის ფული ომის საჭიროებისათვის ჩვეულებრივ ნორმაზე მეტი. როცა ქაღალდის ფულის რაოდენობა ხუთ მილიარდს გადასცილდა, მთავრობამ გამოაცხადა ხუთი მილიარდის სესხი, და ეს სესხი ხელის მოწერით იქმნა დაფარული სავსებით. შემდეგ ომისათვის ფინანსიური მხარის მოგვარების საქმე ამ გვარად მიმდინარეობდა დაუბრკოლებლივ,—მთავრობამ რამდენჯერმე აიღო სესხი თავისვე სახელმწიფოში და არა ხუთი, არამედ ათ-ათი მილიარდი. ასე და ამგვარად გერმანეთი ჯერ-ჯერობით იოლად მიდის იმიტომ, რომ მთელი ხალხი გატაცებულია პატრიოტული გრძნობით და თავის მთავრობას ნდობით ეპყრობა. უამისოდ ამ საშინელი ომის თავის გართმევა შეუძლებელი იყო.

განა არ შეიძლებოდა ეგრევე მომხდარიყო რუსეთში? ბანკმა უკვე, როგორც ვთქვით, 13 მილიარდზე მეტი ქაღალდის ფული გამოუშვა და ხელაც ყოველდღე 30 მილიონი იბეჭდება, როგორც გამოაცხადა ფინანსთა მინისტრმა ამ ორი კვირის წინათ. ამიტომ ქაღალდის ფულის ფასი საშინლად დაეცა. ეს ეტყობა ყოველგვარი საქონლის სიძვირეზე შიგნით და უცხოეთში კი მანეთის კურსის დაცემაზე. რუსის საზოგადოებას არა თუ სამი მილიარდი უნდა განაღდებია, ხელის მოწერით, უნდა გადაექარბებია და ეჩვენა მთავრობისათვის, რომ იგი მზად არის გაანაღდოს ათი მილიარდიც კი; მთავრობაც უცბად მეორე თავისუფლების სესხს გამოაცხადებდა. ამგვარად ქაღალდის ფულის რაოდენობა შემცირდებოდა სახელმწიფოში და ხალხში. მანეთის ფასი უთუოდ აიწევდა. შეიძლებოდა ცოტათი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების კურსი დაცემული იყო, მა-

გრამ ისე მაინც არ დაეცემოდა, რამდენადაც დღეს ქაღალდის ფულის ფასია დაცემული. ყოველ შემთხვევაში რუსეთის ბურჟუაზია მოგებაში იქნებოდა. მაგრამ ეს გონიერება და ანგარიში ვერ გამოიჩინა, და... ღმერთო ნუ მიწყენ, პატრიოტული გრძნობაც სუსტი ყოფილა რუსის ბურჟუაზიაში განვითარებული. პატრიოტიზმი რუსეთის ბურჟუაზიის და მის თანაზიარ ინტელიგენციისა იმაში იხატება, რომ სტამბოლისა და დარდანელის სრუტეს ხელი წაუპოტინონ და იქიდან კიდევ მთელ მცირე აზიას, სპარსეთსა და ინდოეთს, და შინ კი, თუ რომელიმე დაჩაგრულ ერმა ავტონომიაზე ხმა ამოიღო, მუქარით ჩაჰქოლონ.

ზ. გ.

ქართული პრესა

სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციის შესახებ.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“ ეხება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციას და ამბობს:

> ...როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი სოციალური მსოფლიო მხედველობა, არ შეგვიძლია ამ მოვლენას გვერდი ავუხვიოთ და ჯეროვანი ყურადღებით არ მოვეპყრათ. თუმცა საძირკველი ეროვნული ცხოვრებისა მშრომელი ხალხია და ეროვნული წინსვლა განუყრელად არის დაკავშირებული მშრომელი ხალხის ბედთან, მაგრამ სადაო არ არის ის აზრიც, რომ სანამ საზოგადოების ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ბურჟუაზიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, სრულიადაც განურჩეველი არ არის არც ეროვნული და არც კლასობრივი თვალსაზრისით, თუ ვისთან ექნება საქმე ქართველ მუშას, უცხო თუ ეროვნულ ბურჟუაზიასთან. დღეს ეროვნული ბურჟუაზიის არსებობა აუცილებელია ერის ცხოვრების ნორმალურათ განვითარებისათვის და კლასთა შორის ბრძოლაც მხოლოდ მაშინ გადაიშლება თავისუფლად, როდესაც ეროვნულ გრძნობას ვერავინ გამოიყენებს მის შესაფერხებლად და დასამახინჯებლად. თანაც რაკი ბურჟუაზია იტვირთებს იმ ნაწილს ეროვნულ-კულტურული მუშაობისას, რომელიც მისთვის ისტორიას დაუკისრებია, მშრომელ დემოკრატიას მეტი ენერგია გაუთავისუფლდება და მას საშუალება მიეცემა მეტი ყურადღებით მოეპყრას თავის წმინდა კლასიურ ინტერესებს.
>
> ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ პროგრესიულ მოვლენათ **ქართველი** ბურჟუაზიის აღორძინება და დარაზმვა. ამიტომ ვეგებებით სიამოვნებით ყოველ მოვლენას, რომელიც ჩვენში კლასთა დიფერენციაციას ხელს უწყობს. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ სწორეთ ასეთ როლს შეასრულებს ქართვ. ერ.-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობაც.
>
> უკვე კარგა ხანია, რაც ეს პარტია ისახება, მაგრამ დღემდი მას თავის მიზნისათვის ვერ მიუღწევია და გარკვეულ ფორმებში ვერ ჩამოყალიბებულა. გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვათ, რომ ის ხალხი, რომელიც თავს ეროვნულ დემოკრატიას უწოდებდა, მეტ წილად უარყოფითი ლოზუნგის გარშემო იყრიდა თავს: უარყოფა სოციალიზმისა საზოგადოთ და უარყოფა მიწის სოციალიზაციისა კერძოთ...

შემდეგ გაზეთი ეხება რა ჩვენსა და სოც.-ფედერალისტთა შორის ატეხილ ბრძოლას დასძენს:

> ... ერ.-დემოკრატების პარტიულ კონფერენციას არ შეგვიძლია არ ვუსურვოთ, რომ მეტი საქმიანობის უნარი გამოიჩინოს.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. თიბათვის 6. დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტებზე სროლა და მფრინავთა თარეში.

კავკასიის ფრონტი. კიალკიტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა მზვერავთა რაზმებმა გადალახეს მდინარე კიალკიტჩაი, გაიარეს მავთულის ხლართები და მტერზე იერიში მიიტანეს; ოსმალები დაიფანტნენ და ბევრი ტყვე და მკვდარი დასტოვეს.

მფრინავთა მოქმედება ბალტიის ზღვაზე. თიბათვის 2. მტრის 5 ჰიდრო-ჰაეროპლანი ორჯელ თავს დაესხნენ რიგის ყურეში ფლოტის ბაზას და ჩამოაგდეს 41 ყუმბარა. ვერც ერთი ყუმბარა ვერ მოჰხვდა მიზანს. ყუმბარის ნატეხით დაჭრილია ერთი მეზღვაური; მფრინავთა თავდასხმა ფლოტის არტილერიის, ხმელეთისა და ზღვის ბატარეიათა ცეცხლით მოვიგერიეთ. იმისდა მიუხედავად, რომ მტრის მფრინავები ყოველდღე თავს გვესხმიან და ათეულობით ყუმბარას გვიშენენ, ჩვენ სულ მუდამ ვიგერიებთ მათ იერიშებს. ჩვენი არტილერიის წყალობით მტერი თავის მიზანს ვერ აღწევს.

პარიზი. თიბათვის 5. საღამოს ოფიციალი. ლაფოსა და პანტეონის რაიონებში, კრაონისა და შეფრეს სექტორებში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში ჩვენ გერმანელთა სისტემის თხრილები დავიჭირეთ. დავატყვევეთ 40 კაცი, მათ შორის ერთი აფიცერი. გერმანელები სრულიად უსაფუძვლოდ რეიმსს ყუმბარას უშენენ. მოქალაქეთა რიცხვიდგან მოკლულია 3, დაჭრილია 3 კაცი.

პარიზი. თიბათვის 5. ოფიციალი ბალკანეთის ლაშქრის შესახებ. ბრიტანელმა მფრინავებმა ნაყოფიერად დაუშინეს ყუმბარა ტუმბას რკინის გზის სადგურსა და სამხედრო მასალის საწყობთ. მთელს ფრონტზედ უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა. თესალიაში ჩვენი ჯარი, კვლავ დაუბრკოლებლათ წინ იწევს.

პარიზი. თიბათვის 5. დღის ოფიციალი. ფრონტის სხვა და სხვა ადგილებში დრო-გამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა.

თავისუფლების ხეხი

ლონდონი. თიბათვის 2. (დაგვიანებულია). ვაშინგტონიდან იტყობინებიან, თავისუფლების ხეხს ხელი ზედმეტად მოაწყერესო, ეს დემოკრატიის გამარჯვებაა და იმას ნიშნავს, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს ომი ბოლომდის აწარმოვოს.

ბრიტანეთის ქვეშევრდომი ამერიკელები

ნიუ-იორკი. თიბათვის 3. შეერთებულ შტატებში მცხოვრები ბრიტანეთის ქვეშევრდომნი 18 წლ.—45 წლამდე ბრიტანეთის დროშის ქვეშ შეიკრიბებიან.

გემის ჩაძირვა

კოპენჰაგენი. თიბათვის 6. ჩრდილო ზღვაში ჩაძირულია დანიის გემი.

ვოლფის ნათქვამი უანექსიო ზავის შესახებ

სტოკჰოლმი. თიბათვის 4. (დაგვიანებულია). ვენიდან იტყობინებიან: რეიხსტაგში გერმანელ რადიკალმა ვოლფმა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი არა-სასურველად იცნო. იტალელ ბეგატიმ განაცხადა, რომ ავსტრია უნგრეთის ქვეშევრდომი იტალიელები მათგან დასახლებულ ადგილების სლავიანების სახელმწიფოში შესვლის წინააღმდეგნი არიან.

ბალტიის ფლოტის ახალი უფროსი

ჰელსინგფორსი. თიბათვის 5. ბალტიის ფლოტის ახალმა უფროსმა, ამირბარმა ვერდერევსკიმ უკვე ჩაიბარა თანამდებობა და საქმეს შეუდგა.

სამხედრო ქარხნის აფეთქება

სტოკჰოლმი. თიბათვის 5. ვენის „კორესპონდენც ბიურო“ იუწყება, რომ შტეინფელდში სამხედრო ქარხანაში აფეთქება მოხდა, რომლითაც დაიღუპა 6 კაცი, მძიმედ დაიჭრა 60 და მსუბუქად 300 კაცი.

იტალიის ნოტა რუსეთის მთავრობას

პეტროგრადი. თიბათვის 5. გამოქვეყნდა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა რუსეთის მთავრობისადმი. ნოტაში მოხსენებულია: გაეცნო რა რუსეთის მთავრობის განცხადებას, იტალიის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო მხედველობაში, რომ რუსეთი მზად არის ყოველი ძალა იღონოს, რათა განთავისუფლოს მტრის მიერ დროებით დაპყრობილი სამშობლო ტერიტორია, აღადგინოს პოლონეთის დამოუკიდებლობა და მოკავშირეებთან ერთად იბრძოლოს მტკიცე ზავის ჩამოგდებამდე. ამ პირობებით რუსეთი ჰქმნის მტკიცე ზავის საფუძველს. თავის მხრივ იტალიეთი აცხადებს, რომ ის მხოლოდ იმიტომ ჩაერია ომში, რათა დაეცვა ხალხთა თავისუფლების და თვითგამორკვევის პრინციპი.

გაზ. „ასანი“ უანექსიო ზავის შესახებ

ტოკიო. თიბათვის 2. (დაგვიანებულია). რუსეთის მიერ აღიარებულ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ გაზეთი „ასანი“ სწერს: იაპონია ომში იმიტომ მონაწილეობს, რომ შორეულ აღმოსავლეთიდან გერმანეთის განდევნა ჰსურს. გერმანეთს რომ კოლონიები დაუბრუნდეს, მას შეძლება მიეცემა შორეულ აღმოსავლეთში კვლავ შფოთი ჩამოაგდოს. თუ უანექსიო ზავის პრინციპები განხორციელდება, იაპონია ეხლავ ეცდება ამათ განხორციელებას შორეულ აღმოსავლეთში ხელი შეუშალოს.

ახალი ამირბარები და მეზღვაურნი

ჰელსინგფორსი. თიბათვის 5. ბალტიის ფლოტის უფროსის გამოცვლა ფლოტის მოსამსახურეებს ძალიან ეამათ. მეზღვაურნი დარწმუნებულნი არიან, რომ ამირბარი მაქსიმოვი რუსეთის ფლოტში თავისუფლების განმტკიცებას ხელს შეუწყობს და რევოლუციის საქმეს გაამაგრებსო. ამირბარ ვერდერევსკის დანიშვნას მეზღვაურნი სიხარულით შეეგებნენ. იგი გამოცდილი სტრატეგია და ახალ წყობილების მომხრე.

მფრინავთა თავდასხმა

პეტროგრადი. თიბათვის 5. მტრის ხუთი ჰაეროპლანი თავს დაესხა რიგის ყურეში რუსების ბაზას და ბატარეებს 41 ყუმბარა დააყარა. ყუმბარები მიზანში ვერ მოხდა. ყუმბარების ნატეხმა დასჭრა ერთი მატროსი. საფრენები გემების და სანაპიროების ზარბაზნებმა მოიგერიეს. უკვე რამდენიმე დღეა რაც ჩვენი ბატარეები მტრის იერიშებს ყოჩაღად იგერიებენ.

რევოლუცია

დეპეშები

დეზერტირების შეპყრობა.

პსკოვი. თიბათვის 6. მილიციის მიერ შეპყრობილ იქმნა 800-დე დეზერტირი.

კშეშინსკაის სასახლე.

პეტროგრადი. თიბათვის 5. ანარქისტებმა განაცხადეს, რომ ამ თვის 11-ში გაანთავისუფლებენ სქეშინსკის სასახლეს. ამისთვის მათი ძალით გადევნა აღნიშნულ რიცხვამდე სისრულეში მოყვანილი არ იქმნება.

ბანკების წარმომადგენელთა კრება

პეტროგრადი. თიბათვის 5. ბანკების წარმომადგენლების ყრილობა დათავდა. მიღებულ იქმნა რამდენიმე რეზოლუცია. სასურველად სცნეს დაარსდეს სრულიად რუსეთის კრედიტის დაწესებულებებში მომუშავეთა კავშირი.

სოციალისტ მინისტრების ფიცი

პეტროგრადი. თიბათვის 5. კოალიციურ სამინისტროს სოციალისტ მინისტრმა წერეთელმა, სკობელევმა, პეშეხონოვმა და ზახოვსკიმ დღეს ახალ მთავრობას ერთგულება შეჰფიცეს.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ყრილობა.

მოსკოვი. თიბათვის 5. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ტელეგრამებზე ფასის მომატება გადასწყვიტა. 10 კ. თითო სიტყვა. კვირა უქმეობით სიტყვაზე ორჯელ მეტი გადასახადი უნდა იქმნას შემოღებული. ტარიფი წერილებზე: უბრალო—15 კ. ღია 7 კ. და დაზღვეული 26 კაპ.

საოლქო კონფერენციის შემადგენლობა.

მინსკი. თიბათვის 6. ოლქის კონფერენციაზე უმეტესობას მენშევიკები შეადგენენ. პრეზიდიუმში—ბოლშევიკები.

სტამბის რეკვიზიცია.

ორიოლი. თიბათვის 6. მუშათა დეპუტატების საბჭომ ერთა კავშირის სტამბის რეკვიზიცია მოახდინა.

აღმასრულებელ კომიტეტთა ყრილობა.

სარატოვი. თიბათვის 5. თიბათვის პირველს დასრულებულმა მაზრების, ქალაქებისა და გუბერნიების აღმასრულებელ კომიტეტთა საოლქო ყრილობამ დაადგინა თიბათვის გასულს პეტროგრადში მოიწვიოს სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტთა ყრილობა დროებითი შინაურ მართვა-გამგებლობის საქმის გასარჩევად.

საზოგადო-პოლიტიკურ განყოფილების დაარსება სამ. სამინისტროში.

პეტროგრადი. თიბათვის 5. სამხედრო-სამინისტროსა და ჯარისკაცთა ორგანიზაციების შორის მტკიცე კავშირის შესაკვრელად სამინისტროში არსდება საზოგადო-პოლიტიკური განყოფილება.

პროექტი მასწავლებლების ჯამაგირის მომატებისა.

პეტროგრადი. თიბათვის 5. განათლების მინისტრმა დროებით მთავრობას ახალი კანონპროექტი წარუდგინა დასამტკიცებლად. ამ კანონპროექტით პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებლებს წლიური ჯამაგირი 1440 მანეთამდე უნდა მიეცეთ.

სასურსათო სანოვაგე კომისიის მე-4 სესია.

პეტროგრადი. თიბათვის 5. დაიწყო სახელმწიფოს სასურსათო-სანოვაგე კომიტეტის მე-4 სესია. სესია 5 დღეს გასტანს.

გადასახადების რეფორმა

პეტროგრადი. თიბათვის 5. ფინანსების მინისტრ შინგარევის თავმჯდომარეობით მოხდარმა სხდომამ პირდაპირ გადასახადი რეფორმის საკითხი განიხილა. გამოირკვა, რომ იმ პირთ, რომელთა შემოსავალი 40000 მანეთამდის აწევს, ნაცვლად ეხლანდელ $12^1/_2\%$-ისა 30% უნდა გადაიხადონ. სამხედრო-ზედმეტი მოგების გადასახადი უნდა 70—90% იქმნეს მიყვანილი.

ტროიცკის განცხადება

პეტროგრადი. თიბათვის 5. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში ტროიცკიმ განაცხადა: სახელმწიფო სათათბიროს კერძო სხდომაზე მილიუკოვმა სთქვა, რომ მთავრობამ გრიმის გადასახლების და ჟურნალისტ კოლიშკოს დაპატიმრებით უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი გერმანეთის აგენტურასთან საბრძოლველად, მაგრამ მთავრობას არ უბრძანებია ლენინის და ტროიცკის დაპატიმრება, რომელნიც გერმანეთის მიერ მოსყიდულნი არიანო. ამის შესახებ ტროიცკი აცხადებს: სანამდე მილიუკოვი არ მოგვხსნის ამ ბრალდებას, მანამდე ის უსინდისო ცილის წამებელი იქნებაო (საერთო ტაშის ცემა თითქმის ყველა სკამებზე).

გაზეთი „რუსკაია ვოლია“

პეტროგრადი. თიბათვის 5. დღეს ანარქისტებმა ხელთ იგდეს გაზ. „რუსკაია ვოლია“-ს რედაქცია და სტამბა. ამის გამო მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს საღამოს სხდომაში მსჯელობა იყო. მოხსენებულ იქმნა, რომ ანარქისტების საქციელის შემდეგ „რუსკაია ვოლია“-ს სტამბასთან მრავალ რიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი. ბრბოს სურვილი იყო ანარქისტებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ და სტამბიდან გაეძევებინათ. ექსცესების თავიდან ასაცილებლად გამოწვეულ იქმნა ორი როტა. საბჭომ ამ ფაქტის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „საბჭო კატეგორიულად პროტესტს აცხადებს ანარქისტების მიერ რედაქციის და სტამბის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. საბჭო მოუწოდებს, რომ ანარქისტებმა დაუყონებლივ დასცალონ რედაქცია და სტამბა.“ მაგრამ ეს რეზოლიუცია უმრავლესობის მიერ დამტკიცებული არ იქმნა.

„რუსკაია ვოლიას“ რედაქციის განთავისუფლება.

პეტროგრადი. თიბათვის 5. ანარქისტები, რომელთაც ხელთ იგდეს „რუსკაია ვოლიას“ რედაქცია, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატებს დაჰნებდნენ. ანარქისტები ყაზახების მიერ დეპუტატთა საბჭოში იქმნენ წაყვანილნი. ანარქისტებს ჩამოართვეს მრავალი ტყვია-წამალი და ყუმბარები. დატუსაღებულ იქმნა 30-დე კაცი.

სამხედრო მინისტრის კაბინეტი.

პეტროგრადი. თიბათვის 5. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა სამხედრო მინისტრის კაბინეტის დაარსების დებულება. კაბინეტის ნაწილებია:—სამხედრო შემოსავლის კანცელიარია, სამდივნო ნაწილი და საზღვაო უწყების დასავალებელ მოხელეთა საქმე. სამხედრო მინისტრის კაბინეტს გვერდს უდგა საზღვაო მინისტრის ფლაგ-კაპიტანის სამმართველო, რომელიც გაერთიანებულია სამხედრო მინისტრის კაბინეტთან.

დამფუძნებელ კრებისათვის.

პეტროგრადი. თიბათვის 5. დროებითმა მთავრობამ დაადგინა დამფუძნებელ კრების მოსაწვევ პროექტის შემმუშავებელ კომისიაში, გარდა წინად მიწვეულებისა, კიდევ მიიწვიოს შემდეგი პირნი:. ნეკიფოროვი—ბურიატების წარმომადგენლის მაგიერ, ხანხასევი და ლელიუხინი—ბასაკვეს პარტიის ცენტრის წარმომადგენელთა მაგიერ. ხოლო ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებად—წერეთელი და გეგეჭკორი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა

პეტროგრადი. თიბათვის 6. (გაგრძელება) ამ პროგრამის სისრულეში მოსაყვანად დროებით მთავრობას ენერგიული დახმარება უნდა აღმოუჩინოს რევოლუციონურ დემოკრატიამ. რევოლუციონური დემოკრატია უნდა შემოიკრიბოს სოციალისტ რევოლიუციონერებთან და სოციალ-დემოკრატებთან და ამით ხელი შეუწყონ დროებით მთავრობის ძალის განმტკიცებასო.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი წერეთელი აცხადებს, სრულიად რუსეთის რევოლუციონურ ყრილობას სოციალისტი მინისტრები პირველად ვაძლევთ ანგარიშს პასუხს იმ საერთო პოლიტიკაში, რომელსაც ისინი ანხორციელებდნენ დროებით მთავრობაში ყოფნის დროს. მაგრამ არის ისეთი საკითხები რომლის გადაწყვეტა რუსეთის დემოკრატიას მარტო საკუთარ ძალით არ შეუძლია. ასეთი ძირითადი საკითხების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ რუსეთის დემოკრატიას სხვა ქვეყნების დემოკრატიაც გამოეხმაურება. ზავის საკითხის გადაწყვეტა დამყარებულია იმაზედ, თუ როგორ შეეგებებიან მას სხვა ქვეყნების დემოკრატები. რუსეთის რევოლუციას—ამბობს წერეთელი,—აიღო რა დროშა საყოველთაო მშვიდობიანობის მოსაპოვებლად უნდა ეტვირთა ომის გაგრძელებაც, რომელიც მხოლოდ რუსეთის დემოკრატიის გაძლიერებით დაბოლოვდება. რომ ამ საქმეში რუსეთის რევოლიუციონურ მმართველობამ სახელი მოიპოვოს, აუცილებლად საჭიროა დროებით მთავრობის მიერ ნათლად და კატეგორიულად განცხადება თავის მიზნების და კატეგორიულივე უარყოფა ძველ იმპერიალისტურ პოლიტიკისა. ამის გარდა, წერეთლის აზრით, საჭიროა მოწოდება მოკავშირეების აქამდის შეკრულ შეთანხმებების გადასასინჯავად. ჩვენ ვეცდებით დავაჩქაროთ ისეთი შეთანხმებები, რომელთა საფუძვლად რუსეთის დემოკრატიის მიერ აღიარებულ საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველი იქმნება მიღებული. ჩვენ მივისწრაფით იმ მიზნისკენ, რომ ჩვენი პროგრამა მისაღები იყვეს ყველა მოკავშირესათვის. ის კი უნდა გვახსოვდეს, რომ არ უნდა გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომელთა შედეგი მოკავშირეებთან განხეთქილების ჩამოგდება იქნება. ჩვენ ვაღვიარებთ, რომ საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას მეტად ვუღალატებთ გერმანეთთან სეპარატიულ ზავის შეკვრით. იგი ხომ დამღუპველი იქნებოდა, როგორც რუსეთის რევოლუციისათვის, ისე საერთაშორისო დემოკრატიისათვის (ტაში). სეპარატიული ზავი, განაცხადა წერეთელმა, არამც თუ სასურველი არ არის, არამედ ფაქტიურად შეუძლებელიცაა. რადგან მის შემდეგ რუსეთის რევოლუციას ახალი ბრძოლა მოუხდება გერმანეთის კოალიციის მხარეზე. სეპარატიული ზავი საერთოდ შეუძლებელია. რუსეთის მთავრობა, ბოლოს, გამოჰხატავს თავის რწმენას, რომ შეიქმნება ისეთი პირობები, რომლებიც ხელს მოუმართავენ რუსეთის რევოლუციას თავის მისწრაფებათა განხორციელებაში. მთავრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელიც განიხილავს ყველა ძველ ხელშეკრულებებს.

პეტროგრადი. თიბათვის 4. აქა იქ ისმოდა ხმები, ვითომ იმპერიალისტურ წრეების გავლენით დროებითი მთავრობა და კერძოდ სამხედრო მინისტრი ისე მოქმედებდნენ, რომ დაუყოვნებლივ იერიშები გამოეწვიათ, რათა მით მოესპოთ პოლიტიკური კამპანია საერთო ზავისათვისაო. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მთავრობა თავის მოქმედების მთელ სფეროში ერთს აზრსა ჰხელმძღვანელობს. მთავრობის ყოველი წევრი პასუხისმგებელია, როგორც საერთო პოლიტიკაში, ისე ცალკე მინისტრის მოქმედებაში. ჩვენ გვრწამს, რომ კერენსკის მოქმედება რევოლიუციის საქმეს ზურგს უმაგრებს, საიმედო ბაზას ჰქმნის ჩვენს საერთაშორისო დამოკიდებულებისა და ზავის რეალ ნიადაგზე დასაყენებლად. როცა ქვეყანა გარეშეთა თავდასხმას განიცდის, როცა იგი თავის დასაცავად ჰმოქმედობს, მაშინ რევოლიუციური არმია ზურგმომაგრებული და ფრონტზედ იერიშისათვის მზათ უნდა იყვეს. (ტაში). ის უწესრიგობა, რომელსაც ჩვენს ფრონტზედა ჰქონდა ადგილი არამცთუ ზურგს უმაგრებდა რევოლიუციას, არამედ იგი მომაკვდინებელი იყო მისთვის. და თუ აქ ამბობენ, რომ უკვე საიერიშოთ ბრძანება გაეცათო, მე ვიტყვი, რომ ამგვარი ბრძანებისა მე არაფერი გამიგია და თუნდაც სამხედრო მინისტრმა შემატყობინოს ამა და ამ დღეს ვუბრძანე ჯარს იერიშის მიტანაო, მე აქ არ მოვალ და ამას არ შეგატყობინებთ. (ტაში და კმაყოფილების ხმები). შინაურ პოლიტიკის შესახებ წერეთელმა სთქვა: აქ უკვე ანგარიში უნდა გავუწიოთ სამი წლის ომისა და ათი წლის რეაქციის მძიმე მემკვიდრეობას. ჩვენ ღრმადა გვრწამს, რომ ამ სიძნელეს ღირსეულად დავსძლევთ, მაგრამ ვიცით ისიც, რომ მისი დაძლევა რუსეთის დემოკრატიას მხოლოდ დიდის მსხვერპლით შეუძლიანო. შეეხო რა მომავალ რეფორმებს წერეთელმა მრეწველობის შესახებ განაცხადა, რომ მთავრობას აზრადა აქვს მრეწველობის კონტროლი ხალხისათვის ავტორიტეტ პირს გადასცეს და შეიმუშაოს ზომები მრეწველობის აღსადგენათ, მთავრობა უპირველეს ყოვლისა მოიწვევს ყველა მრეწველს რათა რუსეთის საერთო მსხვერპლის სიმწვავე მათაც გაიზიარონ და სამშობლოს თავისუფლება-აყვავებისათვის თავისი წვლილი გამოიღონ. მიწის საკითხში მთავრობის პოლიტიკა, რუსეთის რევოლიუციურ დემოკრატიის პოლიტიკას არ ეწინააღმდეგება. რომ იმ უკმაყოფილების შესახებ, მთავრობამ ერთბაშად არ მოახდინა ძირითადი რეფორმები, და სამაგიეროდ ენერგიულადა ჰმოქმედობს იმათ წინააღმდეგ ვინც, მისი აზრით ანარქიულად მოქმედობს, წერეთელმა განაცხადა: ვერ წარმოიდგენია მთავრობა, რომელსაც შეეძლოს 1—2 თვის განმავლობაში ყოველისფერი განახორციელოს რაც კი საჭიროაო. მეორე მხრივ რევოლიუციური ძალა, რომელმაც იდეურ პროპაგანდას სრული თავისუფლება მისცა, ძლიერი უნდა იყვეს, რომ თავიდგან აიცდინოს და მოსპოს ყოველგვარი ექსცესები და ექსპერიმენტები, რომელნიც სამოქალაქო და სამხედრო თავისუფლებას საფრთხეს უმზადებენ. სხვა გზით მთავრობა ვერ აუვა დაკისრებულ საქმეებს და ყველაფერი რევოლიუციის წაგებით ჩაიფუშებაო (ტაში). აღნუსხა რა ზოგიერთი საშუალება, რომელზედაც სხვა მინისტრები წაიკითხავენ მოხსენებას, წერეთელმა დაასრულა: „არავითარ კრიტიკის არ გვეშინიან, მაგრამ თუ ჩვენ აზროვნებაში დავშორდით ერთმანეთს, ვითომც რევოლიუციურ დემოკრატიას მთავრობა არა ჰყავდეს, მაშინ ჩვენ თქვენი ბელადები ვერ ვიქნებით“. (ტაში ყოველ მხრიდგან. ბოლშევიკები სდუმან).

ლენინმა განაცხადა, ჩვენი პარტია მზათ არის მთავრობის ადგილი დაიჭიროს, თუ შესთავაზებენ. კრიტიკას უკეთებს მთავრობასა და დეპუტატთა საბჭოს მოქმედებას და აღნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათო და ურჩევს ხალხს ამ კაპიტალისტთა ჯგუფის შეპყრობას. თავის შემდეგ სიტყვაში ლენინი იმ აზრს ანვითარებს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ხელში ჩავიგდოთ მიწა და უფლებაო.

ლენინი იწუნებს მთავრობისა და სოციალისტების ომის პოზიციას. კერენსკის მოწოდებას იერიშისაკენ საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესების ღალატს უწოდებს. კოალიციური მთავრობა ომს ძარცვა-გლეჯისთვის აგრძელებსო. რუსეთმა უარი უნდა სთქვას ანექსიაზეო. ლენინი უკმაყოფილოა ფინეთისა და უკრაინის დაჩაგვრისა.

კერენსკი მიუთითებს საფრანგეთისა და რუსეთის 1905 წლის რევოლიუციებზე და აფრთხილებს ისტორიულ შეცდომებს ნუღა გავიმეორებთო. საჭიროა თავისუფლება გავამაგროთ, რომ ლენინი რუსეთიდგან შვეიცარიაში არ გაგვექცესო. ლენინი ისეთს საშუალებებს ეძებს, რომ იმისთანა ადამიანი სოციალისტის სახელის ტარების ღირსი არ არისო. ლენინს კლასობრივი ბრძოლა პირადობის ბრძოლაზე გადააქვს და აზიის დესპოტების რეცეპტსა ჰხელმძღვანელობსო. კაპიტალიზმს მსოფლიო ხასიათი აქვს, და ჩვენ კი იმის მოსპობას გვირჩევენ. ოდესღაც ნაროდნიკებს უტოპისტებს, წვრილ ბურჟუებს უწოდებდენ და დღეს ამ სახელს მე თქვენ გიწოდებთო, სთქვა კერენსკიმ. თქვენ გვირჩევთ მარქსიზმის მიერ დაგმობილი საბრძოლველი იარაღი ვიხმაროთ: დავატუსაღოთ, გავცარცვოთ, მოვკლათ. და ამითი თქვენ სოციალისტობთ თუ ძველი რეჟიმის მომხრეობას ეწევით? (ხმაურობა, მოძრაობა ბოლშევიკების მხრივ). კერენსკი განაგრძობს, რომ ამ კრებაზე ყველაფრის თქმა შეიძლებაო. „ჩვენა გვყავს ისეთი ხალხი, რომლებიც თავისი განუვითარებლობის წყალობით, ელემენტარულად არჩევენ ყოველივეს და ყველაფერი ლოზუნგათა სწამთ. მე მათთვის ვლაპარაკობ. ტყუილია, ვითომც მე ფინეთსა და უკრაინას ვებრძოლებოდე, მაგრამ არ შეიძლება ისიც, რომ რუსეთს თავისი ტერიტორიის ნაწილი ჩამოეცალოს. (ტაში). თქვენ გვირჩევთ კიდევ ერთს საშუალებას-დაძმობილებას, და გავიწყდებათ, რომ ეს საშუალება გერმანეთის შტაბის სურვილს ექვემდებარება.

ჩვენ მოვალენი ვართ დავანახოთ ინტერნაციონალიზმს, რომ ჩვენ ძალას წარმოვადგენთ, რომ ჩვენც საკუთარ ნებით ვართ აღჭურვილნი. ფრონტზე ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ ჯარის ახალი ორგანიზატორები ჩემს შეხედულებას იზიარებენ. ხალხისგან მხარის დაჭერა-დემოკრატიულ უფლება-ძალისათვის დიდ სარგებლობას წარმოადგენს. მხოლოდ სადი გონიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება და შემოქმედებითი ინსტიქტი დემოკრატიისა შექმნის იმ ახალ ჯარს, რომელიც მოგვიპოვებს მშვიდობას, ერთობას, და თავისუფლებას. მე არასოდეს არ ამიკრძალია თქვენთვის პროპაგანდა. ის ჯარის კაციც, რომლის დათხოვნა მე მოვისურვე, მოხვდა პოლკში დატოვებას. მთელ მე-12 კორპუსში, რომელშიც 1900 კაცი იმყოფებოდა, არავინ გამოჩნდა დამშობილების მომხრე. (ხმა: შეშინდენ) კერენსკი უპასუხებს: შეშინდე იმიტომ რომ, როდესაც ჩვენ თავგანწირვით ვიბრძოდით რევოლიუციისთვის, ჩვენ არ გვეშინოდა კატორგისა, არ გვეშინოდა სიკვდილისა. (განუსაზღვრელი ტაში) მე მოხსენებას არ გიკითხავთ. მე მინისტრი ვარ და ამასთან ერთად რევოლიუციონერი, ან ძველი მეგობარი რუსეთის დემოკრატიისა. მე მოგითხრობთ თუ რასა ვგრძნობთ და ან რა მდგომარეობაში ვართ. მე მოგითხრობთ სიმართლეს და თქვენ კი მე მსჯით. (ტაში).

ლუნაჩარსკი სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას და პარლამენტის არჩევას მოითხოვს. მისი აზრით პარლამენტი ჯარის კაცთა და გლეხთა საბჭოთაგან ან ასი წევრით უნდა შეივსოს.

სკობელევი ირონიით იხსენიებს სოციალიზმს და ლენინის და ლუნაჩარსკის მარქსიზმს. ის ეკითხება რითი უნდა შეიცვალოთ დატყვევებული კაპიტალიზმი, როდესაც ჯერ სოციალიზმი არ სუფევსო. იგი ადგენს დროებით მთავრობის საფინანსო - საეკონომიო პროგრამას. ამით სხდომა თავდება.

თიბათვის 3 ს სხდომაზე მარტოვმა გრიმმის გაძევების შესახებ სთქვა: „რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია ამ ყრილობით პირველად წარსდგება ქვეყნის წინაშე, როგორც ერთი რამ მთლიანი ძალა. და სწორედ ეხლა გაისმის ევროპაში ხმა, რომ რუსეთის რევოლიუციამ გააძევა მშვიდობიანობისთვის ენერგიანი მებრძოლი და ევროპის ერთი ინტერნაციონალისტთაგანი. მშრომელი მასსა, რომელიც მილოცვით შეეგება საერთაშორისო მოწოდებას, იტყვის: „მათ არ იციან რასა იქმნიან“. როდესაც გრიმმა რევოლიუციის პირველ გამოძახილთან ერთად მოისურვა რუსეთს დაბრუნება, მილიუკოვმა განაცხადა, რომ გრიმმის რუსეთში შემოშვება არ შეიძლიანო, რადგან, მილიუკოვის განცხადებით, გრიმმი გერმანელების აგენტი იყო. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მეტად აღშფოთდა ამით, მაგრამ რას გააწყობდა. მილიუკოვის გადადგომის შემდეგ ჰელსინგფორსის დეპუტატთა საბჭომ ნება დართო გრიმს რუსეთში დაბრუნებისა. ეხლა დროებით მთავრობამ გრიმმის მოქმედება უარყოფითად იცნო და იგი გააძევა. ალბად დროებით მთავრობას გაგებული არ ჰქონდა, რომ მუშათა კლასების ყველა კონგრესებზე ერთხმად მოთხოვნილი იყო იმ დებულების გაუქმება, რომლის ძალითაც უცხოელებს მხოლოდ გადასახლებით უმასპინძლდებიან ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავიანთ მოქალაქეთ მხოლოდ სამსჯავროს გადასცემენ. მარტოვი იმ აზრისაა, რომ მინისტრ-სოციალისტებმა მხოლოდ იმიტომ გააძევეს გრიმმი, რომ მისი ჩვენებები არა-დამაკმაყოფილებლად იცნეს. მარტოვი გარკვევით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ დროებით მთავრობის შეკითხვაზე, თუ რას ჰფიქრობენ გრიმმის შესახებ, მე და აქსელროდი კატეგორიულად მოვითხოვდით გრიმმის ჩვენება სრულიად დამაკმაყოფილებლად მიეჩნიოთ. მინისტრ-სოციალისტებმაო, ამბობს დასასრულ მარტოვი, არ მიმართეს არც თავიანთ პარტიას, არც აღმასრულებელ კომიტეტს და იგი მხოლოდ მარტო თითონ გადასწყვიტეს გრიმმის გაძევება“.

მინისტრი წერეთელი აღნიშნავს რა ფაქტიურ მხარეს—ამბობს, რომ გრიმმი რუსეთის საზღვრებში შემოუშვა ერთის მხრივ რევოლიუციურმა დემოკრატიამ და მეორე მხრივ წერეთლისა და სკობელევის პირადმა პასუხისმგებლობამ. ჩვენ ვამბობდით,—სთქვა წერეთელმა, რომ შვეიცარიის დემოკრატიის ბელადს,—რომელმაც იმპერიალიზმის წინააღმდეგი დროშა აღმართა და რომელიც ებრძოდა აგრეთვე თავის მთავრობას,—ნება ჰქონდა რუსეთის რევოლუციის ტერიტორიაში ფეხი შემოედგა, იმ დროს, როდესაც იმპერიალიზმის წინააღმდეგი ბრძოლა რუსეთის რევოლუციის ქვა-კუთხედად იქცა. თავის აქ ყოფნაში გრიმმი თავისუფლად ჰქადაგებდა იდეებს, რომლებიც ღრმადა სწამდა. ჩვენ გვრწამს, რომ რუსეთის რევოლუციის საზღვრებში ყველას უფლება აქვს თავის აზრთა გამოთქმისა. ჩვენ კარგად გვახსოვს კონგრესების ის დადგენილება, რომლის შესახებაც მარტოვი ჰლაპარაკობდა, და არა მარტო გვახსოვდა, არამედ მის განხორციელებასაც ვცდილობდით. ამ ერთი კვირის წინ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი შეგვეკითხა, კიდევ პასუხისმგებლობით გრიმის საქმეში თუ არაო ჩვენ თანხმობა გამოვაცხადეთ. მაშინ, მინისტრმა დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტი გვიჩვენა. ამ დოკუმენტით გრიმმის დანაშაული რომ მტკიცდებოდა, მაშინ ჩვენ საქმეს გრიმის შეუკითხავად გადავწყვეტდით, მაგრამ ამ დოკუმენტში გრიმის დანაშაულის დამტკიცება არა ყოფილა და ჩვენ გადავწყვიტეთ შევკითხოდით გრიმმს და აზრად არა გვქონია ამ დოკუმენტის გამოქვეყნება. ჩვენ მარტოვის პირით ვაცნობეთ გრიმს: ხმები დადის თქვენსა და გერმანეთის მთავრობის დამოკიდებულებაზე და წინადადება მივეცით, გამოეცხადებინა, რომ პროვოკაციათა სთვლის, როდესაც მეომარი სახელმწიფო საზავო კონფერენციას თავის იმპერიალისტურ მიზანთა მისაღწევ სარბიელადა ჰხდის, და აგრეთვე თვითონ გამოექვეყნებინა ცდა გერმანეთის დესპანისა შვეიცარიაში.

გრიმის პასუხი ამ თხოვნაზე ისეთი არა დამაკმაყოფილებელი იყო, რომ ჩვენ საჭიროდ ვსცანით დოკუმენტის წარმოდგენა. ჩვენ ვამბობდით—განაგრძობს წერეთელი, რომ გერმანეთის და შვეიცარიის სახელმწიფონი ჰფიქრობდენ მოტყუებას, მაშინ ვუწოდოთ თუ არა ამას პროვოკაცია. გრიმიც ხომ ხელს უწყობდა ამ პროვოკაციის გავრცელებას, ამიტომ ისიც, პროვოკაციის თანამგრძნობელია (ტაში). შემდეგ წერეთელი პუნქტებით არჩევს გრიმის განმარტებას და მესამე პუნქტის განმარტებას ყველა უფრო არა დასაკმაყოფილებლად სცნობს. ამ პუნქტში ლაპარაკი არის გერმანეთის ელჩის ნახვის შესახებ. წერეთელი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ ვინც სოციალისტებს იმპერიალისტებად ნათლავს. თუ გოფმანმა დოკუმენტები გრიმს გადასცა, მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდა ის გერმანეთის მთავრობის ხელში სათამაშო ნივთად გამხდარიყო. რუსეთის რევოლიუცია ვერ შეეგუება იმ მოვლენას, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აგენტ პროვოკატორის როლს ასრულებს. აი, ამ მოსაზრებით ჩვენ ვსცანით გრიმის განმარტება არა-დამაკმაყოფილებლად.

ეროვნული საკითხი

უკრაინის ჯარის კაცთა ყრილობა.

კიევი. თიბათვის 5. გაიხსნა მთავრობის მიერ ნებადაურთველი უკრაინელ ჯარისკაცთა ყრილობა. მონაწილეობას ღებულობს 2000-დე კაცი. ბოგდან ხმელნიცკის პოლკის მონაწილეობით გამართულ იქმნა რამდენიმე მიტინგი, რომელზედაც გადაწყდა ახლავე განხორციელებულ იქმნას უკრაინის ავტონომია.

ბოგდან ხმელნიცკის პოლკს ფრონტზე ჰგზავნიან.

კიევი. თიბათვის 5. სამხრეთ დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის ბრძანებით ბოგდან ხმელნიცკის პოლკს ფრონტზედ ჰგზავნიან.

უკრაინულ ჯარის წინააღმდეგ.

სიმფეროპოლი. თიბათვის 5. ადგილობრივ სამხედრო ნაწილთა მეციხოვნე კომიტეტმა უკრაინელ რადის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა. რადას ჰსურდა უკრაინელ ჯარის ნაწილების შედგენა ადგილობრივ მეციხოვნე ჯარიდგან, ხოლო კომიტეტმა გადასწყვიტა ეს საკითხი დამფუძნებელ კრებას გადასცეს.

ავსტრიის ეროვნებანი.

სტოკჰოლმი. თიბათვის 5. ვენიდან იტყობინებიან, დროებით ბიუჯეტის კანონ-პროექტის კითხვის დროს სლოვიანელი კრაკი მოითხოვდა სამხრეთ-სლოვიანების მოთხოვნილებათა განხორციელებას ბალკანეთსა და ადრიატიულ ზღვაზე ავსტრიის გავლენის განსამტკიცებლად. უკრაინელმა ვილსკომ სთქვა, რომ უკრაინელები უკვე მისწრაფიან ერთ ავტონომიურ პროვინციისაკენ. პოლონელ სტოპინსკიმ ღრმა რწმენა გამოსთქვა, რომ მტრების განზრახვა პოლონეთის დანაწილების შემდეგ სისრულეში ვერ იქმნება მოყვანილი. პირიქით იმედია, რომ პოლონური პარტიები ეცდებიან დამოუკიდებელ პოლონეთის აღდგენას.

უკრაინელთა ეროვნული ფონდი.

უკრაინელთა ცენტრალმა რადამ კიევში, დაიწყო ფულის მოგროვება უკრაინელთა ეროვნულ ფონდისათვის. ფულის შეკრების პირველ დღეს 8000 მანეთი მოჰკრიბეს. უკრაინელები გულ-უხვად სწირავენ ფულს. სულ ოქროთი და ვერცხლით.

რუსეთი და უცხოეთი

ნახშირის კრიზისი

ნოვოჩერკასკი. თიბათვის 5. ნახშირის კრიზისი ფართო ხასიათს ღებულობს. მისი ფასი ამ მოკლე ხანში საზღაპროდ გაიზარდა.

პელიკანი სამართალში

ადესა. თიბათვის 5. სენატორ ტრეგუბოვის განკარგულებით პელიკანი პასუხისგებაში იქნება მიცემული. მას ბრალად ედება, ქალაქის საარჩევნო ბიულეტენზე ხელის მოწერა.

შეღავათი ფარმაცევტებს

პეტროგრადი. თიბათვის 5. სწავლა-განათლების მინისტრის განკარგულებით სამხედრო ბეგარიდან დროებით განთავისუფლდებიან ის ფარმაცევტები, რომელთაც 1918 წელს პროვიზორობის ეგზამენები უნდა ჩააბარონ. მაგრამ შეღავათის ვადა არ უნდა გადასცილდეს 1918 წლის პირველ ივლისს.

ცარცვა

ორიოლი. თიბათვის 6. დმიტროვსკში ჯარისკაცთა ფორმაში გამოწყობილ ექვსმა უცნობმა გაძარცვეს ვაჭარი ქალი სტრუნოვი. წაიღეს 53.000 მანეთის ნივთეულობა.

ათინაში პარლამენტს იწვევენ

ათინა. თიბათვის 6. კონნარი დაკმაყოფილებულია ზაიმისის მოქმედებით. ახლო მომავალში პარლამენტს მოიწვევენ.

ვენიზელოსის სამთავრო.

პარიჟი. თიბათვის 5. ლარისსიელის რაიონის ყველა საზოგადოებები ვენიზელოსის სამთავროს დაექვემდებარნენ. ვენიზელოსის სამთავროს აგენტები უკვე შეუდგნენ სამოქალაქო უფლების ფუნქციების შესრულებას.

პურიშკევიჩის რაზმის წინააღმდეგ.

ფეოდოსია. თიბათვის 5. წითელი ჯვრის საფრონტო კომიტეტმა თხოვნით მიჰმართა მთავარ სამმართველოს პურიშკევიჩის რაზმების საწყობებს სესხს ნურა მისცემთო, და მოითხოვა მისი სამსახურიდგან გადაყენება. კომიტეტის აზრით პურიშკევიჩის რაზმთა პრივილეგიური მდგომარეობა წესდებას ეწინააღმდეგება და არეულობასა და დეზორგანიზაციასა ჰქმნის, მით უფრო, რომ პურიშკევიჩი ანგარიშის მაგიერ „ძიაძია მიხეის“ ლექსებს წარადგენს ხოლმეო.

უკანასკნელი დეპეშები

გრიმის გაძევების შესახებ გაზეთი „რეჩი“ სწერს: ის ამბავი, რომ გრიმმი ბეტმან ჰოლვეგის აგენტი გამოდგა აზეფობაზე უარესიაო. უკანასკნელ დღეების ამბები ბერლინშია შექმნილი და ყველა ეს ამბები იქიდან მოდისო. ამ ამბებმა რუსეთის რევოლუცია ერთ დიდ საზარელ ქსელში გააბესო.

—

პეტროგრადში მოხდა 40 წლის ჯარის კაცთა მიტინგი. მათ სურვილი განაცხადეს ომში დაბრუნებისა, როცა ახალგაზრდები ეროვნულ გვარდიას შეადგენენო.

—

პეტროგრადის მილიციის საბჭომ მოითხოვა, რომ მილიციის წევრებს თვეში თხუთმეტი თუმნის მაგივრად ოცდა თექვსმეტი თუმანი დაენიშნოთ ჯამაგირად.

ქრონიკა

კავკასია

◆ **აბრეშუმის ჭიის პარკი.** მეაბრეშუმეობის სპეციალისტის ი. ქუთათელაძის ცნობებით ამიერ კავკასიაში ბევრგან დაწყობილა აბრეშუმის პარკით ვაჭრობა. ფასები დიდია. საზოგადოდ აბრეშუმის გამხმარ პარკის ფასი ფუთი 48 მანეთად და 50 კაპეიკად ჰფასობს. მოსავალი კარგია, მაგრამ შარშანდელთან შედარებით ნაკლებია.

◆ **ხმები პაპაჯანოვის შესახებ.** თბილისში ხმები დადის, რომ დროებითი მთავრობის კომისარი პაპაჯანოვი თანამდებობიდან გადადგომას აპირებსო. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ დაშნაკცუტუნთა პარტია მას ნდობას არ უცხადებსო.

◆ **სომეხ მხედართა მოქმედების გამოძიება.** თბილისში საჩივარი მოსულა, რომ სომეხთა ლაშქრის მე-5-ე ბატალიონი უმიზეზოდ თავს დაესხა მშვიდობიან ქურთებს და აიკლოვო. ამ საქმის გამოსაძიებლად თბილისის სათანადო მომქმედ ორგანიზაციებმა საგანგებო კომისია გაგზავნეს.

◆ **რუსთა საკულტურო საზოგადოება.** დაარსდა რუსთა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს რუსული კულტურა და სწავლა-განათლება გავრცელოს ამიერ კავკასიაში. საზოგადოებაში მომეტებულ ნაწილად შედიან პედაგოგები. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია გ. პ. ბარჩი.

გ. ა. გუტოპი, კომისარი დროებითი მთავრობისა, ამა თვის 6 ნოვოროსისკში წავიდა თანამდებობისა გამო.

საქართველო

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი, შ. ბერიძისა: „Поэтъ порыва. Жизнь и творчество кн. Н. М. Бараташвили“. წიგნი გამოცემულია ქართ. მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების საზოგადოების მიერ.

◆ **ქართული სახელმძღვანელოები.** წერა-კითხვის საზოგადოებამ დაადგინა გამოსცეს ს. იაშვილის სახელმძღვანელოები „ბოტანიკა“ და „ბუნების მეტყველება“ თითო 5.000 ცალი.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნები ჯარში.** ამ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დააკმაყოფილა კავკასიის საარტილერიო ბრიგადის მე 6-ე ბატარეის კომიტეტის შუამდგომლობა და დაადგინა უსასყიდლოდ გაუგზავნოს მას თავისი გამოცემული წიგნები. გამგეობის დადგენილებით აგრეთვე უსასყიდლოდ გაეგზავნება წიგნები წეროქვის სკოლას.

◆ **საპედაგოგიო კურსები.** სახალხო მასწავლებელთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ამ ზაფხულში საპედაგოგიო კურსები. ამ გადაწყვეტილების განხორციელების შესახებ მოსალაპარაკებლად, დღეს, თიბათვის 8 ს, საღამოს 8 საათზე ქვეყნაძის ქუჩაზე № 9, შეერთებული კრება ექნებათ კავშირის გამგეობას და სკოლების დირექციის გამგე კომიტეტს.

თბილისი.

◆ **თბილისის მცხოვრებთა საყოველთაო აღწერა.** ამ მოკლე ხანში, როგორც ვიცით, უნდა მოხდეს საყოველთაო აღწერა. თბილისი 350 უბნად დაიყოფება აღწერისათვის. მოწვეულ იქნება 400 რეგისტრატორი, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს 24 კაცმა. რეგისტრატორების თანამდებობაზე 1.200 კაცს შეუტანია თხოვნა. დანიშვნა რეგისტრატორების გამგეობისაგან მინდობილი აქვსთ პ. მ. არღუთინსკის და ა. ი. სტავროვსკის, რომელთაც გადაწყვეტილი აქვსთ რეგისტრატორებად დანიშნონ უმაღლეს კურსების მსმენელი ქალები და ვაჟები.

◆ **სამკითხველო.** მაჩაბლის სახლში (ოლღას ქ. 52) დღეიდან აკაკი წერეთლის სახელობის სამკითხველო იხსნება.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** 20 ვაგონი ფქვილი ისესხა საინტენდანტოსაგან. მეტი ფქვილი კომიტეტს ამ ჟამად არ მოეპოვება. კომიტეტს შეჰპირდა აფიცერთა საეკონომიო საზოგადოება სესხად 5 ვაგონ შაქარს. კომიტეტს იმედი აქვს, რომ საზოგადოება კიდევ ასესხებს მას 10 ვაგონ შაქარს. ეს შაქარი კომიტეტს სჭირდება მცხოვრებთათვის მიმდინარე თიბათვეში.

◆ **შაქრის მისაღები ბარათები.** წინად შაქრის მისაღებ ბარათებს, სხვათა შორის, იძლეოდენ საქალაქო დუქნები და კოოპერატივებიც. ეხლა, თანახმად თბილისის საუბნო სასურსათო კომიტეტების ყრილობის დადგენილებისა, ასეთი ბარათების მიღება შეიძლება მხოლოდ საუბნო სასურსათო კომიტეტებში.

◆ **ახალი კავშირი.** თბილისის ხორცის წვრილმა მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს შეადგინონ კავშირი და შეერთებულის ძალით საკლავი საქონელიც იყიდონ ხოლმე. ქალაქის სასურსათო კომიტეტი ზნეობრივად ეხმარება ასეთ კომიტეტებს.

◆ **ქალაქის წარ. საკონტ. პალატაში.** ნ. ე. წვერავა, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ქალაქის თვითმართველობამ, თანახმად ახალი კანონისა, აირჩია თავის წარმომადგენლად საკონტროლო პალატაში.

◆ **კოოპერატივთა გაჭირვება.** თბილისის კოოპერატივები „შრომა“, „მოახმარებელი“, „დახმარება“ და სხვ., რომელნიც მუშა საქონლის საკვებ მასალას აწვდიან თავიანთ წევრებს, წინად 90 ვაგონამდე სიმინდს აძლევდენ წევრებს. ამ ჟამად კოოპერატივები უფლებას მოკლებული არიან თითონ შეიძინონ საკვები მასალა, ხოლო სასურსათო კომიტეტი მათ თვიურად 10—15 ვაგონზე მეტს სიმინდს ვერ აძლევს უქონლობის გამო. ამიტომ კოოპერატივები დიდის გასაჭირში ჩავარდნენ: წევრები ბლომად აწუხებენ მათ, მაგრამ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია.

◆ **სოლოლაკის გვირაბში** წესიერების დასაცველად ქალაქის გამგეობამ მილიციის უფროსის წინაშე შუამდგომლობა აღძრა დარაჯთა რაზმის დაყენების შესახებ საღამოს 4—7 საათამდე მაინც.

◆ **აკადემიკოსი ნ. ი. მარი** თბილისში ჩამოვიდა.

◆ **თათბირი ფოსტა-ტელეგრაფის შესახებ.** თიბათვის 6, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარის ექ. მაჩულაას თავმჯდომარეობით, მოხდა თათბირი ფოსტა-ტელეგრაფის საქმეების მოწესრიგების შესახებ. ამ ჟამად ერთობ აწეწილი ყოფილა საქმეები, განსაკუთრებით, ფოსტაში. რამდენიმედ მაინც საქმის გასაუმჯობესებლად კრებამ საჭიროდ სცნო: 1) გამრავლებულ იქმნას მოსამსახურეთა რიცხვი, 2) ამ ზაფხულს მოწვეულ იქმნან სამუშაოდ საშუალო სასწავლებელთა უფროს კლასის მოსწავლენი, 3) გაიგზავნოს ბაქოსა და ცარიცინში რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი იქ დაგროვილ წერილების გასარჩევად და დანიშნულებისამებრ გასაგზავნად, 4) ისე მოეწყოს საქმე, რომ ამანათები რკინის გზის სადგურებზე ურიგდებოდეთ პატრონებს, 5) ეთხოვოს გაზეთების რედაქციებს, რომ გაზეთებზე ეტიკეტებს (მისამართს) ნუ დააკრავენ რადგან ფოსტის მოხელენი სიების მიხედვით დაურიგებენ ხელის მომწერთ გაზეთებს და სხ.

◆ **სატუსაღოდან განთავისუფლება.** თიბათვის 5 ს ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილებით სატუსაღოდან გამოუშვეს მეფის ნაცვლის კანცელარიის ნადირექტორალი ისტომინი, რომელიც ამა თვის 7-ს რუსეთს წავიდა.

◆ **მიტინგის მსხვერპლი.** ამ დღეებში თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე ბევრგან იმართება სოც.-დემოკრ. პარტიის მეუფროსეთა ფრაქციის („ბოლშევიკი“) წევრთა სახელდახელო მიტინგები. ასეთი მიტინგი ამა თვის 6-ს, სხვათა შორის, ვორონცოვის ძეგლთანაც გაიმართა. ერთ-ერთ ორატორს ვიღამაც მოზრდილი ქვა მოარტყა თავში; კაცი წაიქცა და ძლივს მოაბრუნეს. კრება აირ-დაირია. დამნაშავე ვერ იპოვნეს.

◆ **წყლის სიმცირე თბილისში.** თბილისელებს ძალიან ეშინიანთ, რომ ამ ზაფხულს, როცა ათასგვარი სნეულებაა მოსალოდნელი, წყალი არ გვექნებაო. ეს შიში იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ეხლაც ზოგიერთ განაპირა ადგილებს წყალი აკლდება და ამის გამო ხალხი დიდად ყაირათობს წყლის დახარჯვაში არა მარტო განაპირა უბნებში, არამედ ისეთ ადგილებშიაც, როგორიც, მაგალითად, არის მთაწმინდის რაიონი, ერთ პატარა ბოქკა წყალში ძალიან ხშირად ექვს შაურს აძლევენ წყლის მზიდველებს, ჩვეულებრივად კი ბოქკა წყალი ფასობს სამი შაური. საჭიროა, რომ ასეთ მდგომარეობას უბნების სასურსათო კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

ქუთაისი

◆ **საქონლის ჭირი.** ქუთაისის გუბერნიაში საქონლის ჭირი ძლიერდება. კავკასიის საბეითლო სამმართველომ 50.000 მან. გადასდო. ამ ფულით საქონელი უნდა შეიძინონ ჭირის საწინააღმდეგო ხარჯი ამზადონ.

◆ **შავი ქვის მრეწველთა წარმომადგენელნი პეტროგრადში.** შავი ქვის მრეწველთა საბჭომ, პეტროგრადიდან მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობისაგან მიიღო დეპეშა, სადაც ითხოვენ გამოგზავნონ რამოდენიმე წარმომადგენელი საგანგებო კრებაზე დასასწრებად. ამ კრების მიზანი მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

◆ **უკრაინელ ჯარისკაცთა კავშირი.** ქუთაისში დაარსდა უკრაინელ ჯარისკაცთა კავშირი. კავშირში ყოველდღე მრავალი წევრი ეწერება.

პროვინცია.

◆ **უკრაინელთა საღამო თელავში.** 3 თიბათვეს, საკრებულო დარბაზში გაიმართა უკრაინული საღამო—წარმოდგენით და სხვა და სხვა გართობებით.

◆ **წარმოდგენა თელავში.** ქალაქურ საკრებულო დარბაზში 31 მაისს, მასწ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით, გაიმართა ქართული წარმოდგენა, წარმოადგინეს: ა. ცაგარლის ხანუმა და 1 მოქ. ვოდ. დედის ერთა.

◆ **სომეხთა კრება თელავში.** 4 თიბათვეს სომხ. სამრ. სკოლის შენობაში დილის ათ საათზე გაიმართა სომეხთა დიდი კრება მათი სკოლების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **ცარცვა.** [illegible] 3 საღამოს 9 საათზე, თავს დაესხნენ მოწამეთის რკინის გზის დარაჯს აკაკი ბოლქვაძეს ექვსი შეიარაღებული კაცი; შანტაჟისტებმა დარაჯს წაართვეს 220 მან. ფული და ერთი რევოლვერი.

◆ **ღვინით ვაჭრობის აღკრძალვა.** ქომაში ყველა ღვინით სავაჭრო დუქნები ქუთაისის სამილიციო სამართველოს განკარგულების თანახმად დაიკეტა.

◆ **ზაკუხოვის დაჭერა** ოზურგეთის კომისარი ღლონტი ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომ ოზურგეთში დაჭერილი მოიყვანეს ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი ზაკუხოვი, რომელიც სასტუმროშია დამწყვდეული.

◆ **ხევსურების შუამდგომლობა.** ხევსურეთის სოფლების ბარის-ახოსი და შატილის დელეგატებმა შუამდგომლობა აღძრეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე, იარაღი მოგვეცით, რათა ყაჩაღ ქისტებისაგან თავი დავიფაროთო. დელეგატებმა თან დასძინეს რომ ასეთივე შუამდგომლობა ძველი რეჟიმის წინაშეც აღვძარით, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციესო. კომისარიატმა შუამდგომლობის დაკმაყოფილება აღუთქვა.

—

შეცდომის გასწორება

ტიტე ტაბიძის გუშინდელ წერილის ბოლოში შეცდომით იყო დაბეჭდილი: ჩვენ და მაჰმადიანებს შეგვიძლია კეთილშობილური მორიგება. უნდა იყოს კი:—ჩვენ და მაჰმადიანებს შეგვიძლია კეთილმეზობლური მორიგება.

მევენახე-მეღვინეთა ყრილობა

ამიერ კავკასიის მევენახე-მეღვინეთა დელეგატების ყრილობამ თიბათვის 4-ს საღამოთი და 5 ს მოისმინა მოხსენებანი ვ. რცხილაძისა, კახეთის მევენახეთა საზოგადოების დელეგატისა და ერევნის წარმომადგენლის დადიანცისა. მომხსენებელნი ციფრებით ამტკიცებდნენ მევენახეობა-მეღვინეობის დიად მნიშვნელობას ამიერ კავკასიის სოფლებისათვის და მოითხოვდნენ, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს, რომელსაც სრულებითაც არ აქვს მსხვილი მრეწველობითი ხასიათი, არამედ წვრილ სამეურნეო საქმეს წარმოადგენს და ბევრგან ერთად-ერთი წყაროა სოფლის გლეხობისათვის, მთავრობამ ხელი კი არ შეუშალოს, არამედ მის განვითარებას დიდად დაეხმაროსო. კერძოდ ღვინის ვაჭრობის შესახებ მოხსენებებში გარკვეულად არის ნათქვამი, რომ ამ ვაჭრობის მოწესრიგება მშვენივრად შეიძლება ისეთისავე ბარათებით, რომლითაც, მაგალითად, შაქარს აძლევენ თბილისში მცხოვრებლებს; მაგალითად შეიძლება, რომ დღეში თითო კაცს ნახევარი ბოთლი ღვინო მისცეს, რითაც ლოთობაც შემცირდება და მეღვინეობის საქმესაც დახმარებას გაუწევსო და სხ. კრებამ მოხსენების შინაარსის შესაფერისი რეზოლიუცია გამოიტანა და სხდომა შემდეგი დღისათვის გადადო.

საქართველოს სანაპიროები

(გაგრძელება *)

არ უნდა დავივიწყოთ ერთი ფაქტორიც ჩვენი კულტურულ-ეკონომიურ გავლენისა ზაქათალის ოლქში, საკუთრივ ბელაქნელებზე: უხსოვარ დროიდან ქიზიყელები, განსაკუთრებით კი ბოდბისხეველები მუდამ წელს იჯარით იღებენ ბელაქნელ ლეკებისა და მუღალებისაგან რამდენიმე ათეულ დესეტინა მიწას, სთესენ და მოჰყავთ ზედ თამბაქო, რასაც უმეტესად ალაგობრივ ასაღებენ და დანარჩენ კი დაღესტნელებზე ჰყიდიან.

ყოველ ამ სოციალ-ეკონომიურ გარემოებათა გამო ზაქათალის ოლქის ლეკები და მუღალები (ინგილოებზე შემდეგ გვექნება საუბარი) ქართველებს და საქართველოს ისე უყურებენ, როგორც კეთილ მეზობლებს და მათ დამპურებელ ქვეყანას.

მაგრამ ქართველებს და საქართველოს ჰყავს ერთი ვნებით აღგზნებული რაყიფი, რომელიც უძველეს დროიდან ეცილებოდა და ეცილება ჩვენს გავლენას ამ მხარეში.

ეს რაყიფი დაღესტანია.

დაღესტანს არა აქვს საკმაო მიწა, სახნავ-სათესად გამოსადეგი. თავისი პური დაღესტანს მხოლოდ სამ თვეს ჰყოფნის. იგი ჩაჩნეთიდან და ზაქათალის ოლქიდან შეზიდული პურით, სიმინდით და ხილით საზრდოობს. გარ-

---

*) იხ. „საქართველო“ № 120.

და ამისა სამხრეთ დაღესტანს აქაურ ვაჭრებისაგან მიაქვს ყოველგვარი საქონელი—ფართლეულობა, ჩაი-შაქარი, შუშეულობა და სხვ. ყველაფერი ეს ზაქათალის ოლქს არა აქვს დაღესტნისთვის სამყოფი, მეტადრე პური, ფარჩეულობა და სხვ. იგი დაღესტანსა და საქართველოს შუა ეწევა შუამავლობას და აწვდის დაღესტანს ყველა ამ საქონელს. სამაგიეროდ დაღესტანს შემოაქვს ოლქში საჩოხე შალები, ნაბდები, ყაბალახები, ხანჯლები, ხმლები, მათრახები და ჰგზავნის აქ ცხენებს გასაყიდათ. რადგანაც ჩაჩნების მიწის დიდი წილი რუსეთმა ჯერ კიდევ შამილის დროს ჩაიგდო ხელში და მას აქეთ ზედ დაასახლა რუსის ხალხი, უმიწო, უპურო დაღესტნი, მეტადრე სამხრეთი მისი ნაწილი, ზაქათალის ოლქის ნოყიერ მიწებზე ოცნებობს, როგორც თავის აღთქმის ქვეყანაზე. ამ ოცნებას ფრთას ვერ აკვეცს ის გარემოება, რომ წელიწადში ცხრა თვე ყოველგვარი მიმოსვლა შეწყვეტილია ამ ორ ოლქს შუა, რადგანაც მათ ჰყოფს თვალუწვდენი მთავარი ქედი კავკასიის მთებისა, რომლის ფერდებზე ცხრა თვე დევს თოვლი. ყოველივე ამის შედეგია ის გარემოება, რომ ძველი მთავრობის დროს თუმცა აკრძალული იყო ზაქათალის ოლქში სხვა ოლქებიდან და მაზრებიდან მოსული ხალხის დასახლება, მაგრამ დღეს 10.000 დაღესტნელი ლეკი მაინც მოკალათებულია ოლქის სხვა და სხვა სოფლებში, მეტადრე ბელაქანში, სადაც ბინადრობს 800 კომლი დაღესტნელი.

რუსეთის რევოლუციის ამბავი ზაქათალაში ოფიციალურად გაიგეს მხოლოდ მარტის ათს. ხოლო მარტის ხუთს დაღესტნიდან უკვე ჩამოვიდნენ ოლქში ისეთნი პირნი, რომელნიც ურჩევდნენ გაელენიან ლეკებს—გამოეცალკევეთ თბილისის გუბერნიას და შეგვიერთდით ჩვენ, თქვენს სისხლსა და ხორცსაო. ჩვენ უთუოდ მოვიპოვებთ ავტონომიას, და მისი მადლი მაშინ თქვენზედაც გავრცელდებაო.

მათ მიეკედლენ მოლები, სოფლის ორფეხა წურბელები, არზების ჩხაპნიები და ყველა ის ვინც ჩვეულია უვექილობით სხვისი ვექილობის დაჩემებას...

კაკ-ენისელი ანუ აწინდელი საინგილო.

ეს მხარე, ზაქათალის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი, ერთი მხრივ მდებარეობს ალაზანსა და ლეკთა სოფ. ელისუს შუა, მეორე მხრივ კი ზაქათალის ოლქის მუხახის ნაწილსა და ნუხის მაზრის შორის.

სიგრძე საინგილოსი იქნება 40 ვერ., სიგანე 20 ვერ. ხალხის კარმიდამოები მოქცეულია ვენახებსა (კაკის ნაწილში) და თვალუწვდენელ კაკლებსა და ხეხილებს შუა. მთებზე შეფენილ ტყეებში ახლაც ბუნაგობს ნადირი სხვა და სხვა ჯიშისა და მათ შორის ისეთი იშვიათიც, როგორც გარეული თხა და იოემი. აუარებელი წყაროები, მადნის წყლები, მადნები და მდინარეები.

უმთავრესი მდინარე—ქურმუხი, მომრწყველი მთელი კაკის ნაწილისა, ერთი მხრივ უბედურებაა ამ მთელს კუთხისათვის, რადგან ყოველ წელს ერთხელ მაინც ანგრევს ნაპირებს და მიაქვს ნოყიერი მიწა.

კაკის ნაწილს უჭირავს ზეგანი, ენისელისას (ალიაბადისას) ბარი.

კაკი მდებარეობს მაღლობ ვაკეზე, ჩამოდის ერთი მხრით მდ. ქურმუხი, მეორეთი მდ. კაბალა. იგია საცხოვრებელი მომრიგებელ შუამავლის, მილიციის კომისარის, იქვეა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, ნორმალური ორ კლასიანი სკოლა და სასოფლო საავადმყოფო.

ენისელში (ალიაბადი) სცხოვრობს კომისარი, არის ორკლასიანი ნორმალი სკოლა, შესანიშნავია მით, რომ 35 წლის განმავლობაში სწავლა დაუმთავრებია მხოლოდ 7 მოწაფეს და ისიც ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში.

ენისელს ჩამოუდის ორი ტოტი მუხახის წყლისა.

კაკ-ენისელის მხარეში ამჟამად არის სულ 22 ქართველი სოფელი (ინგილო მაჰმადიანები და ქრისტიანები).

მათ შორის კაკის ნაწილში:

1) კაკი 450 კომლი, 2) სუსკენდი 30 კომ., 3) მეშაბაში 30 კ., 4) კარაჩეშა 60 კომ., 5) ალათემური 75 კომ., 6) ალიბეგლო 165 კ., 7) ინგილო ქეთუქლო 45 კ., 8) კორაღანი 101 კ., 9) შატოკარი 62 კ., 10) ბაბალო 9 კომ. სულ 987 კომლი.

ენისელის (ალიაბადის) ნაწილში:

1) მარსანი 56 კომლი, 2) ლალოფაშა 46 კ., 3) თასმალო 34 კ, 4) ძაგამი 112 კ., 5) ფადარი 9 კ., 6) მოსული 286 კომ., 7) კაპანაჩი 76 კომ., 8) ენგიანი 85 კ., 9) კანდახი 188 კ., 10) ვერხვიანი 352 კომ., 11) ალიაბადი 846 კომ., 12) ითითალა 125 კომ. სულ 2269 კომლი.

ორთავე ნაწილში სულ 3256 კომლია სულ მცირედ ოჯახში რომ 5 სული ვიანგარიშოთ მივიღებთ 16.280 სულს.

შენიშვნა 1: ითითალა მდებარეობს ჭარის საზღვარში, დასახლებულია კი ენისელიდან გადასახლებულ ინგილოებით.

ჩამოთვლილ სოფლებიდან კაპანაჩი, კანდახი და ვერხვიანი ქართულად აღარ ლაპარაკობენ, თუმცა, ვერხვიანში მაგალითად, ბევრმა იცის. მიზეზი ამისა ის არის, რომ ჩაგონებული აქვთ, ქართულად ლაპარაკს თუ არ დაიშლით გაგაქართველებენო. გაქართველება კი აქ ნიშნავს გაქრისტიანებას.

ინგილოთა სხვა სოფლებში თუ ჯერ ვერ გაუჭრია ამ ჩაგონებას, ამას უნდა ვუმადლოდეთ თუშებს და ფშავებს, რომლებიც ყოველ შემოდგომითა და ზამთრობით აქ მიდი-მოდიან სავაჭროთა: ჰყიდიან ღიღძალ ყველს, მატყლს, ცხვარს, ძროხას, ჰყიდულობენ ცხენსა და ხილს. თუშ-ფშავნი ჩინებულს განწყობილებაში არიან მთელი ოლქის მცხოვრებლებთან, მეტადრე კი ინგილოებთან.

ილია ქუთნია.

(შემდეგი იქნება)

ბჭა და ბჭა

„რას ამბობს გომართელი"?

დასევდიანებულს სოფელს ეხლა აღარაფერი არა სჯერა. უფულობით გულგატეხილი და 1905 წლის მოძრაობით ეჭვებ მოცული სოფელი ვეღარ იკვალთება ოცნების წითელ სამოსელში. მას სევდას ის უფრო აღრმავებს, რომ გული ველარავისთვის ვერ უნდვია. „ახალი თაობა", როგორც ის უძახის რევოლუციის ცეცხლის შემტანთ, მასში სთესავს გაუგებრობის ღვარძლს. სოფელი ჯერ ყურს არ გიგდებს და თუ დაგიგდებს, ეჭვით გიყურებთ. მას ადვილად ვერ დაარწმუნებთ, რომ რეაქციის ლახტი კიდევ ზურგზე ტყავს არ აძრობს. მეორეც, იგი გაოგნებულია. ვის დაუჯეროს, არ იცის. სოფელი უფრო, ვიდრე ქალაქი, დემაგოგიისა და უვიცობის მსხვერპლი გამხდარა. მისი ისედაც კაეშნიანი სული იმიტომაა მოშხამული. ვინ იცის, რაოდენი ენერგია სჭირია სოფელს, რომ დეზინფექცია მოჰხდეს, ღრმა პრილობიდან განიკურნოს! ათასი ჯურის კაცი მისულა და ვერავის გაუგებინებია, რაშია საქმე.

— ე ხინწიფე, რომ არ იყოს, როგორ იქნება საქმე? სოფელს იმდენად პოლიტიკა არ აინტერესებს, რამდენადაც აგრარული საკითხი. მერე და როგორ უდგებიან აქ მოსული უსუსური დემაგოგები. მეტად უვიცად! ყველა ზღაპრებით იწყებს, ზღაპრებითვე ათავებს. ზღაპარული ელფერისაგან ვერ განთავისუფლებულან თვით ისეთი რეალ პოლიტიკის მაწარმოებელნი, როგორიც ნაციონალ დემოკრატების ვიჭირ გაგზავნილი აგიტატორებია. უკადურესობაზე ესენიც უკიდურესობით უპასუხებენ, რის გამოც სოფლისთვის ვერავითარი კეთილი ნაყოფის მოტანის იმედი არ უნდა გვქონდეს. ს.-დ-ტების ვულგარ ქადაგებას, ვითომც ნაც.-დე-ტებს ბატონყმობის აღდგენა ჰსურთ, ესენი იმათ უპასუხებენ, რომ საქართველოს გამყიდველნი მხოლოდ და მხოლოდ სოც.-დემოკრატები არიანო. სიმართლე უნდა ითქვას, დემაგოგიაში კი ესდეკთა დევთა მოციქულნი სჯობნიან. ხშირათ ყოფილა ისეთი მაგალითები, როდესაც დაუხევიათ მოწინაალმდეგის დროშა. წინანდალში, მაგალითად, ის დროშა, რომელზედაც ეწერა: „საქართველოს გაუმარჯოს", ისე დაუფხრეწიათ, თითქოს საქართველოს გამარჯვება პირი და სნება ყოფილიყოს ან მსოფლიოსთვის, ან და საერთაშორისო პროლეტარიატისთვის. თამარობა პირველ მაისს არ აღლესასწაულეს ქალებს თელავში, თამარის სურათის გამოტანის ნება არ მისცეს, ვიდრე ქალებმა ხერხს არ მიჰმართეს და სურათის წინ კანდელი არ აანთეს, როგორც წმიდანის სახეების წინ. რატომ? „თამარი იმპერიალიზმის სიმბოლოაო!" ასე უპასუხებდნენ თურმე დარბაისელი სოციალისტები... მემარცხენე ფლანგიდან, რომელთა ნაციონალურს კოკარდას ეს ფერები აწერია...

ასეთს ავადმყოფობის დროს ხალხს მარჩიელის სიტყვად მიუჩნევია ივ. გომართელი. ბევრი ტყვია-წამალა იფრქვევა სახელოვან მამულიშვილის სახელის გასატეხად, რომ იგი მხოლოდ მდაბიო ენით სწერს, ესაა მისი ღირსება, თორემ სხვაფრივ იგი რეაქციონერიაო, მაგრამ რაკი ლა ხალხმა ერთხელ იწამა, რწმენის გატეხა არც ისე ადვილი ყოფილა. უნდა ნახოთ, როგორის ცნობის მოყვარეობით ეხვევიან გარს პირველად მოქროლილს მატარებელს სადგურზე შეყრილნი. პირველი ელჩები და ახალი სიტყვის მიმტანნი კონდუქტორები არიან. ესენი ავრცელებენ გაზეთებს, ესენივე აწვდიან ახალს ამბავს. მართალია, ხშირია ისეთნიც, რომელთათვის ყური რომ დამიგდია, ჩამცინებია კიდეც, როდესაც თბილისის ამბებიდან რწყილიდან აქლემი გამოუყვანიათ და აქლემიდან ვირთაგვას ქათიბიც ვერ გამოუჭრიათ, მაგრამ... მაინც მათ ეკუთვნით პირველი ტრიბუნობა. სოფლიდან მოსულთ ესენი ამცნობენ პირველს სიტყვას და ხალხიც უჯერებს დაგოდრილ ამბებით უბრუნდება სოფელს.

— გომართელი, ოჰ. რაცაა, ეგაა...

— რა ტოჩი ტოჩად ამბობს! ასე მგონია, გულში მიზისო!

— როგორ თუ რეაქციონერი? ნოე ჟორდანიაც მაგას არა ქადაგებს, ოღონდ სახელებს უცვლის. ეგ კი პირდაპირ, უშიშრად ამბობს იმას რის თქმაც ასე რიგად საჭიროა ჩვენთვის...

მოინტელიგენტე თუ მუშა, გლეხი თუ ბერი დღეს გომართელს დასტრიალებს გარშემო. იგი ხალხის თვალში დღითი დღე იზრდება, იდაფნება, ნდობას პოულობს არა იმიტომ, რომ იგი ამა თუ იმ პარტიას ეკუთვნის, არამედ იმიტომ, რომ უმწიკვლოს, ჟანგაროს ეხერხება მარტივის ენით ხალხის გულთან საუბარი, მის საჭირბოროტო საკითხებზე უკულწრფელესი პასუხის გაცემა. ვიდრე ეს თილისმა მას ხელთა აქვს, მანამდე მის დამარცხება ხალხის თვალში არ მოხდება, ათასი ფარხმალიც დაამსხვრიონ უგუნურებმა. ამიტომაა, რომ აგიტატორთა ხშირად უხეშ გინების დროს მაინც გლეხისა და მუშის მკვირცხლი გონება თხოულობს ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებას:

— კი, მაგრამ მაინცა და მაინც რას ამბობს გომართელი?

მოვალე ხართ, უპასუხოთ, უნდა „ხალხის თავი უფლება" გადუშალოთ გომართლის სიტყვის წასაკითხად...

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)

კორესპონდენცია

ქალის გაყიდვის ჩვეულება საინგილოში

ზაქათალა. გაზ. „საქართველოს" 113 №-ში დაბეჭდილია ზ. ედილის ფრიად საყურადღებო წერილი. ავტორი გვამცნებს, რომ სოფ. კაკის სოფლის ყრილობას ადგილობრივ კომიტეტის ჩარევით დაუდგენია სრულიად მოისპოს საინგილოში გასათხოვარ ქალის გაყიდვის ჩვეულებაო. და თუ ვინმემ გაბედა და გაჰყიდა ქალი, მას ჯარიმად 500 მანეთი გადასდესო.

ეს გადაწყვეტილება დიდად მნიშვნელოვანია ზაქათალისათვის. მის მნიშვნელობას მკითხველი შეიძლება ვერც კი მიხვდეს, თუ არ ეცოდინება ის, თუ რას ჰნიშნავს ქალის გაყიდვა, ან რა ჩვეულებაა იგი. მაგალითს მოვიტან: 1914 წლის იანვრის ოთხს, ზაქათალაში ნაიბთან მივიდა სამი ადამიანი, მოხუცი კაცი, ახალგაზრდა ბიჭი და 18—19 წლის ქალი. ქალმა შესჩივლა ნაიბს, მამა ჩემი შეძლებული კაცია, მაინც ჩემს გაყიდვას ჰლამობს და სხვაზე უნდა გამათხოვოს, მე კი აი ეს ყმაწვილი მინდაო. ქალის საქმრო კი ღარიბი გამოდგა და ქალის მამას საჭირო ფულს ვერ აძლევდა. ამაში იყო მათი ტრაღედია. ქალის მამამ სთქვა: ეს ჩვეულება მამაპაპით გადმოცემულია და ეხლა რად უნდა გადავუდგე მასაო. ჩემი ქალის გაზრდაში ხარჯიც გამსვლია და გაჭირვებაც, ეხლა იგი, რომ სხვამ წაიყვანოს მე დანახარჯი რად დავკარგოო. სხვა ათ თუმანს მაძლევს, მაგრამ რაკი ჩემს ქალს ეს კაცი უნდა, ამიტომ ექვს თუმანს დავჯერდებიო. საქმროს ფული არა ჰქონია და გაიმართა ვაჭრობა. საქმრო თანახმაა სამი თუმნის ვექსილი მისცეს, მაგრამ მამას ეცოტავება. ბოლოს სხვები ჩაერივნენ საქმეში და საქმროს ოთხ თუმან ნახევრის ვექსილი მიაცემინეს. ამის შემდეგ ქალი საქმროს დარჩა. ასეთი წესი მოსპეს კაკელებმა. მაგრამ მარტო კაკი რა არის. მთელს ზაქათალაში და მუსულმანობაშია ასეთი წესი ყველგან უნდა მოისპოს ადამიანის ეს გამათახსირებელი ადათი.

გრ. ულენტი.

—

სოფლის ვითარება

არც ერთი საქმე არ არის ისე საფრთხილო და სახიფათო, როგორც სოფლის მეურნეობა. ყველაზე მეტს გაბედულობას იჩენს მიწის მეურნე, როდესაც თავის ცოდნას, შრომას და სარჩოს მიწაში ჰყრის და შემდეგ შესცქერის, როგორ იპრიანებს და როგორ მოსავალს მოინებებს მისთვის ქვეყნიანი ცვალებადი ამინდი.

ამიტომაც უწოდა მოსავალს ხალხმა ჭირნახული.

სოფლის მეურნისათვის რვა საათის მუშაობა არ არსებობს. იგი დილიდგან საღამომდის მუშაობს და ფხიზლად არის, რომ ყოველ დარგს მეურნეობისას თავის დროზე მიჰხედოს, დღეში თორმეტ—თექვსმეტი საათი მუშაობა აქვს სოფლის მუშას თებერვლიდგან გიორგობისთვის გასვლამდის, სანამ თოვლი და ყინვა არ დაუდებს საზღვარს მის შრომას, სამაგიეროდ კი მოგება მუდამ საეჭვოა. ვნახოთ ცნობები: 1916 წელს დასეტყვა ქართლის თორმეტი სოფელი, საჯავახოს ხილის კუთხე და ცარიელი დასვა სოფლებიც, დასეტყვა კახეთის რამდენიმე სოფელი, თიბათვის და მკათათვის გვალვებმა მოსპეს ნათესები. უფრო კი სიმინდები, დაიშვა ნახევარი იმერეთი და მეტი წილი ქართლისა და კახეთისა. შემოდგომიდანვე გლეხები ყიდულობდნენ ჭირნახულსა და რომ თერგის ოლქიდან შემოტანილი სიმინდი და რუსეთის ფქვილი არ შესწრებოდა, ცუდად იყო ქართლ-კახეთის და იმერეთის საქმე.

1915 წელსაც მოუსავლობა იყო მთელ საქართველოში. არ ეყოთ საკუთარი პური და გარედგან შეჭქონდათ. ამას ზედ დაერთო გაზაფხულის ყინვები, აპრილის დამლევს, რამაც დიდად აზარალა ხეხილი და ვაზი, გაზაფხულისავე ავდრებმა გაამრავლეს სოკოს სენი ხეხილისა და ვაზისა და ხილისა და განსაკუთრებით ღვინის მოსავალმა ისე იკლო, რომ ბევრგან ვენახები აღარ მოუკრეფნიათ. მგონია, ყველას ეხსომება 1915 წლის უხილობა და უღვინობა.

ამგვარად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოუსავლობამ საქართველოს მეურნეობა ძლიერ დასჩაგრა.

მაგრამ რაც მოვიდა, იმისაც ფასი არა ჰქონდა. ყველაზე გვიან სოფლის ნაწარმოები გაძვირდა.

იმ დროს როდესაც ტყავეულობა, მატყლის და ბამბის ქსოვილები და სხვა ქარხნის ნაწარმოები ერთი ათად და მეტადაც გაძვირდა, სოფლის ნაწარმოებს მაშინვე ნიხრი დაუდეს და დაბალ ფასებში გააყიდვინეს.

გარდა ამისა რეკვიზიცია მოახდინეს და საჯარო უწყების სასარგებლოდ, როგორც თითონ ჰსურდათ, ისე ჩაიგდეს სოფლის ნაწარმოები: ფუთი სამ აბაზად კომბოსტო და კარტოფილი წაართვეს და ცხრა შაურად ჰარხალი. აუკრძალეს კერძო პირებზე გაყიდვა თივისა, ბზისა, კომბოსტოსი, კარტოფილის და ჭარხლისა. აკრძალული იყო რკინის გზით წაღებ-წამოღება ყველა ამ საქონლისა.

გარდა ამისა ყველა სოფელს გამოართვეს ჯარისათვის ზოგან ორი და და სამი, ზოგან მეტიც მსხვილფეხი საქონელი. უფრო ხარი და ვითომც ფასად, ნამდვილად კი თხუთმეტ თუმნიანში მხოლოდ შვიდ თუმანს აძლევდნენ. ცხენები ხომ აღარავის შერჩა. ესეც სულ დაბალ ფასებში წაასხეს.

ასე რომ ომის სიმძიმე ყველაზე მეტად სოფელს დააწვა.

გვეგონა ეს არის მოვრჩით შევიწროებასაო და აი ახლა ღვინის გაყიდვაც აიკრძალა კახეთი და იმერეთი და ნახევარი ქართლიც დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ, რადგან მთელი მათი ცხოვრება ღვინოზე და ვენახზე არის დამყარებული და ეხლა ამ შიმშილობის დროს შედგა ღვინის ხმარება და მისი გაყიდვა. ეხლავე შეეტყო ღვინის ფასებს ეს დადგენილება, შვიდ თუმნიანი კოკა ღვინო (კოკა-ხუთი ფუთია) სამ თუმანზე დავიდა რადგან მუშტარი არა სჩანს. მაგრამ შორს მჭვრეტელი ჩარჩი აქაც სარგებლობს და ნახევარ ფასად ჰყიდულობს ღვინოს, იმედი აქვს როცა იქნება გაჰყიდის თავის სურვილისამებრ. ჩალის ფასად გაყიდვა მეურნის ნაწარმოებისა მის ისედაც მცირე შემოსავალს აკლდება. ამასთან სოფელი თითქოს უუფლებოა. იგი დაუქვემდებარეს ქალაქს. ქალაქი და ბაზარი აძლევს ფასებს სოფლის ნაწარმოებს და სოფლის წარმომადგენელი არა სჩანს იქ, სადაც ნიხრს აწესებენ სოფლის ნაშრომზე. ასეა წვრილ დაბა-ქალაქებში, ასეა თბილისშიაც. წინედ ნიხრის შემუშავებაში მონაწილეობდა პოლიცია, ქალაქის გამგეობა და ვაჭრები, სოფლიდგან კი არავინ იყო. ამ გვარმა შემფასებლებმა არ იციან ზომა დროისა, რომელიც საჭიროა სოფლის ამა თუ იმ ნაწარმოების მოსაყვანად, არ იციან ხელ-ფასი მუშისა, გაწეული ხარჯები მამულის გაკეთებაზე, მის გაპატიებაზე. მოსავალს ისე უცქერიან, როგორც ღვთის მოცემულს. ამიტომაც საჭიროა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტებმა სოფლების წარმომადგენლებიც მოიწვიონ და მათი თანადასწრებით დააწესონ ნიხრი, როგორც სოფლის ნაწარმოებზე ისე სხვა ყველა ბაზრის სავაჭროზედაც.

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სოფლის მწარმოებელი, თუ გინდ დიდი ფასებიც დაადოს თავის ნაწარმოებს, სპეკულიაციას არ ეწევა, მას ბაზარზე გამოაქვს თავის შრომის ნაყოფი და ამ შრომისა მას მხოლოდ მესამედი თუ ერგება, რადგანაც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ჩნდება მთელი ბრბო ჩარჩებისა და მთელ მოგებასაც ესენი ართმევენ ხალხსა.

გ. თ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.48	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-2,	11.12	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.88	საღ.
ბაქ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
ყოველთვიური მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწერილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—38)

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსაარული ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონზე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს სათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევგისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—19

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაძლიერებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია
ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი"



მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული ხრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძიზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სხვაგზრო სახლ. „ძმ. ძიზველოვ-ზოთ, [illegible] მრეწველობებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშთაზი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო საღიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარითი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] კონსერვები და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იხსნება. (წ.)

რედაქტორი ბიძინა მეუნარგია. სტამბა „ცხოვრება" ასლან კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4. გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო".